



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
 აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 6 „26“ 07 2022

დადგენილება № 20

**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო პირობების დამტკიცების
 შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6 - პუნქტებისა და 27-ე მუხლის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად,
 აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე შემდეგი მიმართულებებით:
 - ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:
 - სომხური ენა - 1 საშტატო ერთეული ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;
 - სომხური ლიტერატურის ისტორია -1 საშტატო ერთეული ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;
 - ბ) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე:
 - ეკონომიკა - 1 საშტატო ერთეული ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;
 - გ) იურიდიულ ფაკულტეტზე:
 - საჯარო სამართალი - 1 საშტატო ერთეული ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;
 - საჯარო მმართველობა - 1 საშტატო ერთეული ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;
2. კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 26 ივლისს, საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 29 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით.
3. საბუთების მიღებამ იწარმოოს როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით.
4. კონკურსანტებთან გასაუბრება ჩატარდეს საკონკურსო-საფაკულტეტო კომისიების გადაწყვეტილებით.

5. კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 17 ოქტომბერს, შედეგები გამოქვეყნდეს იმავე დღეს.
6. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები თანდართული სახით.
7. დამტკიცდეს საბუთების მიმღები სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:
 - გიული ზედგინიძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მ.შ.
 - ნანა ხითარიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტის მ.შ.
8. დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე საკონკურსო-საფაკულტეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - პროფესორი როინ თათეშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
 - ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა
 - ასოცირებული პროფესორი რაისა ხაჩატურიანი
9. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებით, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს; ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს; იურიდიულ ფაკულტეტს; ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და განთავსდეს გვერდზე.
11. საფუძველი: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 05 ივლისის N10/05 გადაწყვეტილება; ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს 2022 წლის ივლისის N37/6; N37/7 გადაწყვეტილებები; იურიდიულ ფაკულტეტს 2022 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.
12. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლო დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლო მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მაკა ბერიძე